ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N7

13 აპრილი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ნ. ვაჩეიშვილი, ბ. დავითულიანი, ქ. ჯოხაძე.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ზაზა ცინაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
5. ჯიმი კიტია - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
6. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების სამსახურის უფროსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

2. **საკითხი:** სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭება;

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი
თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

3. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადება ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.
მომხსენებელი: ბატონი ლევან ჟვანია (განმცხადებელი).

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა საკრებულოს დეპუტატებსა და მოწვეულ სტუმრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მისი განმარტებით, სხდომის პირველ საკითხად განიხილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი; მეორე საკითხად წარმოდგენილია სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭება; ხოლო მესამე საკითხია ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში ბატონი ლევან ჟვანიას მიერ შემოტანილი განცხადება, ქართველი პოეტის - ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სხდომას ესწრება აგრეთვე ბატონი კახაბერ გვანცელაძე, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი, ვინაიდან ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილება ასევე, მოიცავს სკოლამდელი განათლების პროგრამებსაც.

ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

მოისმინეს:

1. სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი განმარტებით, თბილისის 2018 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ცვლილებები, ძირითადად, განპირობებულია სატენდერო ეკონომიებით. ჯამში ბიუჯეტის ცვლილება შეადგენს 5 429 000 ლარს.

ბატონი გაიოზის განმარტებით, იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:_2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 1 040,0 ათასი ლარით, სტიქიის შედეგად დაზარალებული 2 ოჯახისათვის საკომპენსაციო თანხის გასაცემად; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) –__132,6 ათასი ლარით, ბარათაშვილის ხიდზე საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით;

სკოლამდელი_აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ასიგნებები - 1 180,0 ათასი ლარით;_საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების (კოდი 07 02 04) ქვეპროგრამის_ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით; წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და_სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის (კოდი 10 26) ასიგნებები იზრდება 1 226,7_ათასი ლარით.

ბატონი გაიოზის განმარტებით,_ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეფორმასთან__დაკავშირებით, გაიზარდა სამსახურის ფუნქციები (ცალკეული სამართალდარღვევების გამოვლენა__და კონტროლი, სამართალდამრღვევი პირების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი__პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება და სხვა) ამიტომ, საჭირო გახდა შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების რაოდენობის გაზრდა, რაც იწვევს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 07) ასიგნებების 621,0 ათასი ლარით ზრდას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების პრიორიტეტის ფარგლებში ემატება ახალი პროგრამა - „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა“ (კოდი 09 01) – 438,5 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება აღმაშენებლის გამზირზე არსებული ვიდეო სათვალთვალო ქსელის გამართვის, თბილისის მუნიციპალიტეტის ობიექტებში და რიყის პარკის ტერიტორიაზე ერთიანი ვიდეო სათვალთვალო სისტემების დანერგვა-განვითარებისა და შესაბამისი მონიტორინგის ცენტრის მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

მერიის წარმომადგენლის ინფორმაციით, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, **მცირდება:**

ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები 4 699.5 ათასი ლარით. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე მცირდება ასიგნებები 3 240,4 ათასი ლარით. მათ შორის, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის (704,9 ათასი ლარით), ნაძალადევის (199,9 ათასი ლარით), საბურთალოს (144, 1 ათასი ლარით); ისნის (163,3 ათასი ლარით). შემცირება შეეხო აგრეთვე კრწანისის, მთაწმინდის, ვაკის რაიონებსაც.

ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 153,7 ათასი ლარით. კერძოდ, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 132,6 ათასი ლარით, მცირდება კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებები; ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე. აგრეთვე, მცირდება კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონების (კოდი 08 11) პროგრამაში გათვალისწინებული ასიგნებები სულ 21,0 ათასი ლარით, მათ შორის, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 1,8 ათასი ლარით; ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 2,8 ათასი ლარით; დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 11,5 ათასი ლარით; ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 4,1 ათასი ლარით; ხოლო კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 0,8 ათასი ლარით.

ბატონი გაიოზის თქმით, შემცირება აგრეთვე შეეხო ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტს და მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ფარგლებში თავისუფალი რესურსი მცირდება 438,5 ათასი ლარით, ხოლო ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე მცირდება დიდუბის რაიონის გამგეობის

(კოდი 10 29) ასიგნებები 3,9 ათასი ლარით, კრწანისის გამგეობა (კოდი 10 35) – 1,3 ათასი ლარით და მთაწმინდის გამგეობა (კოდი 10 36) – 6,9 ათასი ლარით.

ბატონი გაიოზის მიერ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის დასრულების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა მიმართა კომისიის წევრებსა და სხდომის მონაწილეებს, წარმოედგინათ კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობს ინფორმაციის გავრცელება, რისთვისაც 700 000 ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ თანხა დაიხარჯება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებისათვის და პროგრამის ფარგლებში, იგეგმება რამდენიმე კამპანია, რომელზეც დეტალურად უახლოეს მომავალში ეცნობება საკრებულოს.

საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხა დაიხარჯება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების ინფორმირებაზე. მისივე თქმით, აქამდე საზოგადოება შედარებით ნაკლებად იყო ინფორმირებული, მაგალითად თბილისის რომელიმე ქუჩაზე დროებითი შეზღუდვების თუ მსგავსი გარემოებების შესახებ.

კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა დამატებით აღნიშნა, რომ მსგავსი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სიტყვა გადაეცა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს ბატონ კახაბერ გვანცელაძეს, რომელმაც განმარტა ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებით სკოლამდელი აღზრდის საბიუჯეტო პროგრამის 1 180 000 ლარით ზრდის მიზნობრიობა. მისი თქმით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 9 400-მდე თანამშრომლის წამახალისებელი ფინანსური დანამატისათვის.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა ყველა თანამშრომელისთვის იყო თუ არა გათვალისწინებული აღნიშნული ფინანსური წახალისება, რაზეც ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ იგი მთელ პერსონალზე ვრცელდება და ერთჯერადად 125 ლარს შეადგენს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, გაიოზ თალაკვაძემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ბექა დავითულიანმა, კახაბერ გვანცელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურის მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა, რომ: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მიმართა ბატონმა ლევან ჟვანიამ, ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, ვანლერ დაისელი ჩვენი საზოგადოებისათვის არ არის ფართოდ ცნობილი, თუმცა, როდესაც ევროპული მოდერნიზმი შემოვიდა საქართველოში და ის რამდენიმე საინტერესო მიმართულებად გაიყო, ერთ-ერთის ფუძემდებელი გახლდათ სწორედ ვანლერ დაისელი. დეპუტატის თქმით, პოეტი ასევე, ებრძოდა ბოლშევიზმს, პროლეტარულ პოეზიას, იყო პატრიოტი ადამიანი. იგი არაერთხელ იყო გადასახლებაში ანტი-ბოლშევიკური გამოსვლებისთვის და რეპრესიების შედეგად დაიღუპა.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ლევან ჟვანიას, რომელმაც სხდომის მონაწილეებს, მადლობა გადაუხადა ქალბატონ თამარ ტალიაშვილს საკითხის საჯაროდ, კომისიის სხდომაზე განხილვისთვის. მან მოკლედ წარუდგინა კომისიის წევრებსა და სხდომის მონაწილეებს პოეტის ბიოგრაფიული მონაცემები. მისი თქმით, ვანლერ დაისელი დაიბადა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 1901 წელს, დაახლოებით 1916-17 წლებში თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. იგი იყო ძალიან საინტერესო ლიტერატურული მიმდინარეობა ,,სომნაბულების'' ფუძემდებელი. ამ მიმდინარეობის პოეტები აწყობდნენ ღონისძიებებს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ამასთანავე, ვანლერ დაისელს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძესთან, ტერენტი გრანელთან. ბატონმა ლევან ჟვანიამ აღნიშნა, რომ ვანლერ დაისელის შესახებ ცნობებს, მან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მიაკვლია, შემდგომში დაიწყო ამაზე მუშაობა და რამდენიმე წლის შემდეგ, მის ხელთაა ყველა ინფორმაცია,

რაც კი ამ პოეტზე არსებობს. მისივე განმარტებით, ვანლერ დაისელი ლექსების გარდა, ასევე წერდა პიესებს, სცენარებს, მოთხრობებს, ესეებს და სხვ. მას სურდა ,,დიონისოს ღიმილზე" სცენარის დაწერა, რასთან დაკავშირებითაც, გადასახლებაში მყოფს მიმოწერა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან. არქივში დაცულია კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ იგი თანაუგრძნობს ვანლერს და მადლობას უხდის თავისი მოღვაწეობისთვის. ვანლერ დაისელის დაკავების ერთ-ერთი მიზეზი იყო მის მიერ დაწერილი პოემა თბილისში მოკლულ ვეფხვზე, რომელშიც ვალიკო ჯუღელს გულისხმობდა. იგი გახლდათ სახალხო გვარდიის მეთაური და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

ვანლერ დაისელი სხვადასხვა საღამოებზე დადიოდა და ღიად აძაგებდა ბოლშევიკურ რეჟიმს. იგი 1924 წელს დააკავეს და გადაასახლეს. მის არქივში აგრეთვე დაცულია დოკუმენტი, საიდანაც დგინდება, რომ იგი გადასახლებაშიც არ ჩერდებოდა და რეჟიმს უპირისპირდებოდა, რის გამოც, მას დამატებით ორი წელი დაუმატეს. 1926 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და დატოვა სოციალ-დემოკრატიული პარტია, მაგრამ უფრო ინტენსიურად აგრძელებდა რეჟიმთან დაპირისპირებას, რის გამოც, კვლავ დააკავეს და გადაასახლეს. 1931 წელს მან დაწერა ე.წ. ,,შეწყნარება", სადაც თითქოს პატიებას ითხოვდა რეჟიმისაგან, თუმცა, მაინც არ დააბრუნეს საქართველოში. უკვე 1932 წელს ქრება მისი კვალი. არსებობს მოსაზრება, რომ ის ჩამოახრჩვეს, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოიპოვება.

ბატონმა ლევან ჟვანიამ აღნიშნა, რომ ვანლერ დაისელმა ოთხი პატარა კრებულის გამოცემა მოასწრო სიცოცხლეში, რომელთა ნაწილები მუზეუმში ინახება. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე მზადაა ყველა მასალა პოეტის წიგნის გამოსაცემად და მისი გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა დაინტერესდა იმ მასალით, რომელიც ბატონი ლევან ჟვანიას მიერ მომზადებულ წიგნში იქნება წარმოდგენილი, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა ლევან ჟვანიამ განმარტა, რომ წიგნი მოიცავს, როგორც პოეტის ლექსებს, ასევე, ვანლერ დაისელის ბიოგრაფიული ცნობებიც.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ხსენებული წიგნის გამოცემით მკითხველი გაეცნობა არა მხოლოდ პოეტის შემოქმედებას, არამედ დამატებით ინფორმაციას მიიღებს აღნიშნულ ეპოქაზე.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წიგნის გამოცემის შემთხვევაში მოეწყობა პრეზენტაცია, რომელზეც მიწვეული იქნება კომისია და ფართო საზოგადოებასაც ეცნობება ამის შესახებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟვანიამ, თამარ ტალიაშვილმა, მაკა ნასრაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემაზე წინადადების დადებითად შეფასებისა და ბატონი ლევან ჟვანიას

განცხადების დადებითი რეკომენდაციით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნის შესახებ.

მომხრე _____ 6
წინააღმდეგი _____ 0
თავი შეიკავა _____ 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილ წინადადებას, არ აქვს არსებით შენიშვნები მის მიმართ და მხარს უჭერს განცხადების დადებითი რეკომენდაციით გაგზავნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა. მისი თქმით, თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტს განცხადებით მომართა სსიპ ,,ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლის'' სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ირმა ჯავახიშვილმა ამავე სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. მისივე თქმით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა სოფელ შინდისში, სადაც აღნიშნული სკოლა მდებარეობს და ეს სკოლა წლების განმავლობაში ატარებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს. სწორედ ამიტომ, ძველი სახელწოდების აღდგენის მიზნით, 212-ე სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ერთხმად იქნა მხარდაჭერილი სკოლისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების ინიციატივა და სკოლამ შემდეგ მომართა თბილისის საკრებულოს.

კომისიის სამდივნოს უფროსმა, ბატონმა ირაკლი მხეიძემ აღნიშნა, რომ განცხადება წარმოდგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194-ე ბრძანების (,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'') მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტისა და მე-4[1] მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით და სამართლებრივად გამართულია.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი მხეიძემ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,სსიპ ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების შესახებ.

მომხრე _____ 6
წინააღმდეგი _____ 0
თავი შეიკავა _____ 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა).

კომისიამ გადაწყვიტა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნას „სსიპ ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი